არჩევნები 2017: ხშირად დასმული კითხვები დამოუკიდებელი კანდიდატების შესახებ

Image not found or type unknown

#არჩევნები2017

#GeorgianElections2017

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის ან თვითმმართველი ქალაქის/თემის მერობის კანდიდატის რეგისტრაცია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით,[1] დაკმაყოფილდა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ სარჩელი,[2] რის შედეგადაც, არაპარტიულ პირებს მიეცათ მერის/გამგებლის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის წარდგინების საფუძველზე.

- **რას ნიშნავს საინიციატივო ჯგუფი?**

საინიციატივო ჯგუფი არის არანაკლებ 5 წევრისაგან შემდგარი საარჩევნო სუბიექტი, რომელიც უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის წარადგინოს **მაჟორიტარი კანდიდატი**, ხოლო თვითმმართველი ქალაქის/თემის მერის არჩევნებისათვის წარადგინოს **მერობის კანდიდატი**. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს **მხოლოდ ერთი კანდიდატი.** საინიციატივო ჯგუფის წევრი **არ შეიძლება** იმავდროულად იყოს სხვა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრი.

- **რას ნიშნავს დამოუკიდებელი კანდიდატი?**

- დამოუკიდებელ კანდიდატს უწოდებენ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მერობის/მაჟორიტარობის კანდიდატად წარდგენილია საინიციატივო ჯგუფის მიერ.

სრული ვერსია იხილეთ ქვემოთ დართულ დოკუმენტში.

ფინანსურ პროცედურებზე ინფორმაცია იხილეთ ბმულზე

რეგისტარციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ბმულზე